

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595101473

N 101
22/02/2018

101-07-3-201802221549



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ სხდომა №1.

დანართი: სხდომის ოქმი № 1-3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

ლელა ჩახვაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“
სხდომის ოქმი№1

ქ.ლანჩხუთი

22.02.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: იოსებ ჩხაიძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ლელა ჩახვაძე/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ფრაქციის სხდომას გააცნო ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანების შესაბამისად საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 9,12 ლარს; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ.ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ.ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს. სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ.ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლელა ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.


მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“



თავმჯდომარე:



ლელა ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ძლიერი
თვითმმართველობისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 თებერვალი 2018 წელი
15.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ლელა ჩახვაძე	2-30	
2	იოსებ ჩხაიძე	25	
3	კახაბერ ასკურავა		